თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 10 ივლისის სხდომის ოქმი #9

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. თ. ბერიძე; ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი 23, სტუდენტები 3, სულ 26 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

   /ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/
2. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ (იხ. დანართი #2-ა; #2-ბ; #2-გ; #2-დ);

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/
3. ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ (იხ. დანართი #1-ა; #1-ბ; #1-გ);

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

4. მიმდინარე საკითხები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ქალბატონი ია ნაცვლიშვილის თხოვნით შევიდა შესწორება და შესწორებული ვარიანტი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (**ოთარ დადვაძე**) დიპლომის დანართის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ 2008 წლის კურსდამთავრებულმა ოთარ დადვაძემ ფაკულტეტს მომართა დიპლომის დამზადების გამო, რომელიც დაგვიანდა მის პირად საქმეში დიპლომის დანართისთვის საჭირო რეკვიზიტის, კერძოდ მისი პირადი ნომრის (ასევე უცნობი იყო საკონტაქტო ინფორმაციაც) ვერ მოძებნის გამო. ამჟამად, ოთარ დადვაძის სახელზე უნდა გაიცეს დიპლომი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერის და თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწნებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დადგინდეს/აღდგეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის, მათ შორის ოთარ დადვაძისთვის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ის მონაცემები, რომლებიც სავალდებულოა დიპლომის ფორმისთვის.

ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მინაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ 2008 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ წარმოებული ოქმები არ იძებნება. ამ პერიოდში აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმის) შესაბამისად, რის საფუძველზეც მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება. შემდეგ გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. 2008 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე დეკანის/დეკანის მოადგილის მიერ სხვადასხვა დროს ხელმოწერილ წარდგინებებში ფიქსირდება ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული 2 ოქმი (ოქმი №2, 14.04.2008 და ოქმი №3, 30.06.2008), რომელთა საფუძველზეც გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანებები 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის თაობაზე.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2008 წლის კურსდამთავრებულ ოთარ დადვაძეზე დადგინდა შემდეგი ინფორმაცია: ოთარ დადვაძე 2003 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო (ფასიანი) განყოფილების დასწრებული სწავლების ფორმაზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით (ბრძანება №4/862, 26.08.2004) და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 243 კრედიტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2008 წლის 29 დეკემბრის №25276/02 წარდგინებისა და რექტორის მიერ გამოცემული 2009 წლის 13 იანვრის №13/01-04 ბრძანების საფუძველზე ოთარ დადვაძეს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 6 ივნისის (ოქმი №7, 06.06.2014) სხდომზე დადგა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის 2009 წლის №13/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხის

კორექტირების შესახებ. საბჭომ დაადგინა, რომ ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის (ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საქმისწარმოებისას გაირკვა, რომ თსუ რექტორის 2009 წლის 13 იანვრის №13/01-04 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის სხვადასხვა სპეციალობების კურსდამთავრებულებს, ოთარ დადვაძესთან ერთად, მიენიჭათ შესაბამისი კვალიფიკაციები. კერძოდ;

- ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კურსდამთავრებულ *ლევან ყურუას*;
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულებს: *ნატალია ბოდაველს, ლაშა მათითაიშვილს, ნიკოლოზ სანიკიძეს, მარიამ ღვალაძეს, თამარ ჩალიგავას, დიმიტრი ცისკარიშვილს, ირაკლი ცომაიას, გიორგი ჯაფარიძეს, არჩილ ვარდიშვილს.*
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით დასწრებული განყოფილების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის კურსმოდამთავრებულებს: *მიხეილ ნიკოლაიშვილს და დავით საღარეიშვილს.*
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაციით დასწრებული განყოფილების კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის კურსდამთავრებულ *დემნა ალადაშვილს.*
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაციით დასწრებული განყოფილების საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს: *ლევან აბულაძეს და მარიამ გორდულაძეს.*
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით დასწრებული განყოფილების მეწარმეობის

ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს: *ლევან ბრეგვაძეს, გიორგი დარეჯანაშვილს, გიორგი კობიაშვილს და ნიკოლოზ სებისკვერაძეს.*

- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკური საინფორმაციო სისტემის მენეჯერის კვალიფიკაციით დასწრებული განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს: *ლევან ბეგიაშვილს, ლაშა შარვაძეს და ბაქარ ხახნელიძეს.*
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საინფორმაციო სისტემის მენეჯერის კვალიფიკაციით დასწრებული განყოფილების ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის კურსდამთავრებულებს: *ირაკლი თევდორაძეს და ბექა ძნელაძეს.*
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით დასწრებული განყოფილების მენეჯმენტის სპეციალობის კურსმოსმენილ *უჩა მოლაშხიას.*
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით დასწრებული განყოფილების მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ *გურამ ბასილაის.*

პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება მათი სწავლების ფაქტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობაზე. მათ მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მათ სახელზე გაიცა ბაკალავრის დიპლომები.

ვინაიდან, არ იძებნება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2008 წლის 30 ივნისის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე,ზემოაღნიშნულ სტუდენტების სახელზე გასაცემი დიპლომის ახალ ფორმაში მისათითებელი რეკვიზიტები, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თსუ სასწავლო დეპარტამენტთან და იურიდიულ დეპარტამენტთან კონსულტაციებიდან გამომდინარე ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო "პ".

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 26;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის, მათ შორის ოთარ დადვაძისთვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და დადგინდეს:

- დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ოთარ დადვაძე), 2008 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2009 წლის 13 იანვარი*** და ოქმის ნომრად ***№13/3***.
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ რექტორის 2009 წლის 13 იანვრის №13/01-04 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 26;

წინააღმდეგი – 0.

დადგინდეს: მიენიჭოს შესაბამისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულს:

ბიზნესის ადმინისტრირება

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ბზიკაძე გოგა
2. გოგიტიძე გიორგი
3. დენტოშვილი ანა
4. კუჭუხიძე ირაკლი
5. შამუგია ზურაბი

ეკონომიკა

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ყორიაული ლევან

მოისმინეს: საგანმანათლებლო პროგრამებში (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა) შესატანი ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - შეკითხვა მაქვს, გასაგებია, რომ პროცედურა დამთავრებულია, მაგრამ მაინტერესებს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელს და ასევე ექსპერტს, რომელიც ხარისხის საკითხებზე მუშაობს, მაინტერესებს მოდულის „საერთაშორისო ეკონომიკა“ ხელმძღვანელის შეცვლის საკითხი რითაა გამოწვეული ვერ ასრულებდა ქალბატონი ნინო თავის მოვალეობას, განცხადება დაწერა თუ სხვა რამე მიზეზი არსებობდა? და მეორე შეკითხვა, ამ ცვლილებების გამო მოუწევს თუ არა ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებს აკრედიტაციის გავლა?

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილი - დავიწყებ მეორე კითხვიდან პასუხს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია და მე მგონი სწორად ვიცი, თუ არ იცვლება მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მაშინ არაა საჭირო პროგრამის აკრედიტაციაზე წარდგენა. თუნდაც ეს გახდა საჭირო პროგრამის ხელმძღვანელები ალბად მზად იქნებიან და ჩვენც მზად ვართ ამისთვის, მაგრამ არა მგონია ამ ცვლილებების გამო, იყოს საჭირო აკრედიტაციაზე წარდგენა. ამ ცვლილებებს ჩვეულებრივად თვითშფასების ანგარიშებში ავსახავთ. რაც შეეხება, პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილებასთან დაკავშირებით, ცვლილება განხორციელდა ინსტრუქციის დაცვით, შესაბამისად, ამ ცვლილების განხორციელების ოქმები არსებობს და შემიძლია წაგიკითხოთ გადაწყვეტილების ის ნაწილი რომლის საფუძველზეც განხორციელდა აღნიშნული ცვლილება.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - გასაგებია, მიზეზი არაა ოქმის ამონაწერში დაფიქსირებული?

ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი - მართალია ქალბატონმა იამ ჩაგვიკითხა ოქმის ამონაწერი და რეალურად ეს მართლაც განხორციელდა, მაგრამ მინდა მცირე განმარტება გავაკეთო ამ საკითხთან დაკავშირებით. საკითხი ეხება შემდეგს, აკრედიტირებული პროგრამის ხელმძღვანელი „საერთაშორისო ეკონომიკის“ მიმართულებით გახლდათ ნინო პაპაჩაშვილი და მექანიზმი, როგორ შეიცვალოს აკრედიტირებული პროგრამის ხელმძღვანელი ახალი ხელმძღვანელით არ არსებობს, სწორედ ამ მექანიზმის შექმნაზე მაქვს საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ

ეს შეხვედრა შედგა, მიმართულების ფარგლებში იყო განხილული პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება, მე ვთვლი, რომ საკუთარი პირადი მოსაზრებებით და ხელის აწევით იყო ეს გადაწყვეტილება მიღებული, ჩვენ მექანიზმი არ გვაქვს. კათედრაზე სრული პროფესორის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად ის ხდება პროგრამის ხელმძღვანელი, არა არის ბატონებო ასე. ამიტომ პირველ რიგში, დღის წესრიგში უნდა დადგეს საკითხი აღნიშნული მექანიზმის შემუშავების შესახებ. ჩავიხედოთ ყველამ დებულებაში, ჩავიხედოთ კანონში, კანონში ვერ იქნება ყველაფერი გაწერილი, ამიტომ ეს შესაბამისად უნდა იყოს მექანიზმში გაწერილი. დღეისათვის ეს გადაწყვეტილება კი ბატონო იყოს, მაგრამ ეს არის არასწორი გადაწყვეტილება და სამართლებრივად არ არის გამართული, ამიტომ მე ისევ ვრჩები ჩემს აზრზე, რომ ეს არის ვოლუტარისტული და ძალადობრივი გადაწყვეტილება და არ შეიძლება, რომ თუნდაც კათედრაზე ძვირფასო კოლეგებო მოვიკრიბოდ პოლიტიკურად ბრმა ხელის ამწევები, ეს წინ დაგვხვდება ხვალ და ზეგ და ჩვენ გვაქვს ჩვენი წილი პასუხისმგებლობა სტუდენტების წინაშე. დარგობრივ ჭრილში უნდა ხდებოდეს განხილვა, რას ვაკეთებთ ჩვენ, რას ვახვედრებთ სტუდენტებს, რა პროფესიონალებს ვამზადებთ. ერთ ელემენტალურ მაგალითს გეტყვით, არ შეიძლება საერთაშორისო ეკონომიკის მოდულში განმსაზღვრელი ნედლეულის ეკონომიკა იყოს, ამაზე მე შემიძლია პროფესიონალურად ვიდავო და პროფესიონალურ ჭრილში უნდა გადავიდეს ეს კამათი. ჩახედეთ იმ პროგრამებს ან რა წინაპირობებს ვამტკიცებთ, ან რა საგნებია სავალდებულო დისციპლინებში, სწორედ ეს მაღელვებს მე. ერთი ხელმძღვანელობით პაპაჩაშვილს არც არაფერი შეემატება და არც არაფერი დააკლდება, ყველამ საკუთარ გულში და საკუთარ სინდისში ჩაიხედოს.

დეკანი ბატონი თ. ბერიძე - ბატონო ელგუჯა თქვენი მოსაზრება მაინტერესებს

პროფ. ე. მექვაბიშვილი - ჩემი მოსაზრებები მე მგონი დაურიგდა საბჭოს წევრებს და თუ ვინმეს დამატებით რამე აინტერესებს შემიძლია გიპასუხოთ

ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი - წერილობით არ დაგზავნილა ბატონო ელგუჯა

პროფ. ე. მექვაბიშვილი - ჩემი პოზიცია დაფიქსირებული მაქვს წერილობით, რომელიც წარუდგინე ბატონ დეკანს, ხარისხის სამსახურს, გავაცანი კათედრას და თუ აქვს საბჭოს წევრებს სურვილი კიდევ ერთხელ გავიმეორებ ჩემს პოზიციას და ვუპასუხებ თქვენს კითხვებს. ერთ-ერთი წინააღმდეგი ვიყავი ხელმძღვანელის შეცვლის და ეს დაფიქსირებულია

პროფ. გ. ღაღანიძე - ძვირფასო კოლეგები მგრძნობიარე საკითს ვეხებით და უნდა გავითვალისწინოთ, რომ გვესწრებიან სტუდენტები და შესაბამისად, ძალიან დიდი თხოვნა მაქვს რომ ეს ფაქტორი იყოს გათვალისწინებული. ქალბატონმა ეკამ რაც თქვა აბსოლიტურად სწორია, მაგრამ არსებობს გვერდის ავლის მექანიზმიც, იცით თქვენ ეს ქალბატონო ეკა, რომელიც ითვალისწინებს ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნას. რაც შეეხება მექანიზმის შექმნას ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია მუშაობა და დეტალურად გაწერა.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - ბატონო გიორგი მე კითხვა დავსვი და პასუხი ვერ მივიღე

პროფ. ა. სილაგაძე - უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა, რომ მსჯელობა იყო პრაქტიკულად ყველა დონეზე, დიდი მადლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საქმიანი შენიშვნებისთვის, რომლის უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა, ასევე დიდი მადლობა ბატონ ელგუჯას, რომელმაც საქმიანად კათედრის სხდომაზე თავისი მოსაზრებები ჩამოაყალიბა. რა თქმა უნდა ჩვენც გვქონდა კათედრაზე პოზიციები და აქედან გამომდინარე, ნაწილი გავითვალისწინეთ და ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენს აზრზე დავრჩით. ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით კონსულტაციები გავიარეთ იურისტებთან, სამართლებრივი კუთხით ეს არის ნამდვილად გამართული და არ არსებობს არცერთი ნორმატიული დოკუმეტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნულ გადაწყვეტილებებასთან. როდესაც კათედრა ამ საკითხს სვავს ეს აბსოლიტურად სწორია. როდესაც უნივერსიტეტში გამოცხადდა კონკურსი პროფესორის თანამდებობაზე, ეს ავტომატურად ნიშნავს რომ კათედრის პროფესორი უძღვება სასწავლო პროცესს, აქ არავითარ კავშირში არაა კათედრის

გამგე. ეხლაც არ გახდებოდა ამ საკითხის დასმა საჭირო, რომ არ ყოფილიყო სავალდებულო პროგრამის ხელმძღვანელის გვარის მითითება, ამიტომ აუცილებელია კანონის მოთხოვნა შევასრულოდ. მოგეხსენებათ, რომ მოდული ძალიან საპატიოა, მაგრამ მაგისთვის მე არ მიბრძოლია და არც ვიბრძოლებ ვიყო მოდულის ხელმძღვანელი, მე კათედრაზე ჩავატარებ არჩევნებს და დემოკრატიულად ავირჩევ მოდულის ხელმძღვანელებს და არა ისე, რომ ერთი ადამინის ხელში იყოს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელობა, რაც ფაქტია დღეს, ხარისხის სამსახურის პოზიციებიდანაც გველაპარაკებოდეს, საბჭოს წევრიც ის იყოს, თუმცა ჩვენს კათედრას წარვადგენთ საბჭოში, ჩვენს კათედრას არ აგვირჩევია საბჭოს წევრად. გთხოვთ კენჭი ვუყაროთ ამ საკითხს.

დეკანი თ. ბერიძე - ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, რომ გავეცანი დეტალურად დოკუმენტაციას და სამართლებრივი ველი, რომელიც დღეს არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით სავსებით შევსებულია და იძლევა საშუალებას გადაწყვეტილების მიღებისა. თუმცა, შეიძლება ჩვენ ვიდავოთ, რომ ეს სამართლებრივი ველი და ეს მექანიზმი გაუმჯობესდეს, მაგრამ ის სამართლებრივი პოტენციალი, რომელიც დღეს ჩვენ გაგვაჩნია, საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ დღეს მივიღოთ გადაწყვეტილება. მე არ შემიძლია არ გავითვალისწინო და არ დავეყრდნო იმ ინფორმაციას, რომელიც მომაწოდა კათედრამ და ამავე დროს განიხილა ეკონომიკის მიმართულებამ. ბუნებრივია, მე არ შემაქვს არანაირი ეჭვი ქალბატონი ნინოს პროფესიონალიზმში, ის ისედაც რჩება საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელად.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 25;

წინააღმდეგი – 1.

დადგინდეს: 1. შევიდეს აღნიშნული ცვლილებები ზემოთ ჩამოთვლილ საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი - განხორციელებული ცვლილებების აღწერა და საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციები);

2. ეთხოვოს აღნიშნულის დამტკიცება თსუ აკადემიურ საბჭოს.

მიმდინარე საკითხები

1. **ქალბატონი ქეთევან მარშავამ** საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ფაკულტეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებების შესახებ, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელებულიყო ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების ხელფასების მატება, რასაც თან ერთვოდა ხელმოწერები ამ საკითხსთან დაკავშირებით. ასევე, აღნიშნა და საბჭოს მიმართა ინიციატივით დამატებით ხარჯვითი ნაწილის 10%-ით გაზრდასთან დაკავშირებით, რომელიც მოგვცემდა საშუალებას მაღლივი კორპუსის ფანჯრების გამოცვლისა.

   ასოც. პროფ. ჩ. ჯაში - მინდა ოფიციალურად განვაცხადო საბჭოს სხდომაზე, რომ მარკეტინგის კათედრა არის ერთადერთი კათედრა, სადაც ერთი ჭანჭიკიც კი არ შეცვლილა. უხერხულია, სტუდენტები ამოდიან როგორც მეოთხე და მეხუთე სართულზე, ასევე ამოდიან მეთერთმეტე სართულზეც და ამიტომ უხერხულია ასეთ მდგომარეობაში იყოს კათედრა.

   დეკანი ბატონი თ. ბერიძე - მეთერთმეტე სართული შეტანილია სარემონტო ნუსხაში.

2. **დეკანი ბატონი თ. ბერიძე** - თქვენ დაგირიგდათ მივლინების ანგარიშები. მოგეხსენებათ, რომ პროფესორები რომლებიც მიდიან სამეცნიერო მივლინებაში ანგარიშვალდებულნი არიან საბჭოს წინაშე. ამიტომ საბჭოს წევრებს დაგეგზავნათ სამეცნიერო მივლინების ანგარიშები და შეგიძლიათ გაეცნოთ რა შედეგებით დაბრუნდნენ პროფესორები მივლინებიდან.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი: თ. ბერიძე

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,

ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე